# შპს ,,იუჯი სკოლის“ 1 წლიანი სამოქმედო გეგმა

დამტკიცებულია პარტნიორთა კრების ოქმით
სხდომის თავმჯდომარე, პარტნიორი ——— მანანა სანაძე

სკოლის მისია

სკოლის ხედვა

შიდა და გარე ფაქტორების ანალიზი

კონკურენტების ანალიზი

2022-2023 წლის სტრატეგიული გეგმის განხორციელების ხარისხი, შედეგების ანალიზი

2023-2024 სასწავლო წლის ამოცანები

**2023-2024 სასწავლო წელს სამოქმედო გეგმა**

2023-2024 სასწავლო წელს სამოქმედო გეგმა - ბათუმი

სამოქმედო გეგმის გადასინჯვის მეთოდები

## 1. სკოლის მისია

განათლებული, ჰუმანური და პატრიოტული გრძნობით აღჭურვილი, ანალიტიკურად და შემოქმედებითად მოაზროვნე ღირსეული მოქალაქის აღზრდა, რომელსაც თავისუფლად შეეძლება სკოლაში მიღებული ცოდნის და უნარ-ჩვევების მეშვეობით საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება შემდგომი პიროვნული განვითარებისათვის იქნება ეს ერთიანი ეროვნული გამოცდებისა თუ საუნივერსიტეტო სწავლების დაძლევა ასევე სხვა სასწავლო საგანმანათლებლო პროგრამებში წარმატებით მონაწილეობა.
ყოველივე ეს გულისხმობს:

**I. აღმზრდელობით საქმიანობას:**

1. მოსწავლეებში კეთილსინდისიერების, დამოუკიდებლობის, პასუხისმგებლობის გრძნობის, შრომისმოყვარეობა, პატრიოტული სულისკვეთება, მეგობრობის, სოლიდარობის გრძნობა

**II. ჩვევების გამომუშავებას:**

2. კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების უნარი

3. თვითდისციპლინის და ორგანიზების უნარი

4. დამოუკიდებელი და გუნდური მუშაობის უნარი

5. ჯანსაღი წესით ცხოვრების უნარი

6. თვითგანვითარებისაკენ სწრაფვის სურვილი

**III. სწავლებას:**

1. ადამიანის უფლებების, თავისუფლებების და კანონის პატივისცემა

2. მივცეთ ისეთი ცოდნა-განათლება, რომელიც „UG" სკოლა დამთავრებულს შესაძლებლობას მისცემს სწავლა გააგრძელოს საუკეთესო უნივერსიტეტში, როგორც საქართველოში, ისე საქართველოს ფარგლებს გარეთ.

**2. სკოლის ხედვა**

UG-სკოლა საკუთარ თავს ხედავს საქართველოში მოქმედ სკოლების სისტემად, რომელსაც გააჩნია საერთო, ლიბერალურ ღირებულებებზე დაფუძნებული აკრედიტებული სასწავლო პროგრამა, მათემატიკისა და ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლებით, მენეჯმენტის საერთო პრინციპები და წარმოადგენს UG-სისტემის შუალედურ რგოლს (UG-ბაღი, UG-სკოლა, საქართველოს უნივერსიტეტი (UG)). სკოლას გააჩნია თანამედროვე მოსახერხებელი ინფრასტრუქტურა: ბიბლიოთეკის, სასწავლო ლაბორატორიებისა და სპორტული ინფრასტრუქტურის ჩათვლით; თანამედროვე სასწავლო პროგრამა, სწავლების თანამედროვე მეთოდები, მაღალკვალიფიციური პედაგოგები. კურსდამთავრებული კონკურენტუნარიანია, როგორც ეროვნული გამოცდების, ისე დასავლურ უნივერსიტეტებში ჩაბარებისთვის დაწესებული მოთხოვნების მიმართ

**3. შიდა და გარე ფაქტორების ანალიზი**

a. SWOT - ანალიზი

**ძლიერი მხარები (Strengths)**

• • ბრიტანული აკრედიტაცია და უნიკალური პროგრამები ბუნებისმეტყველება, მათემატიკასა და ინგლისურ ენაში.

• • ბრიტანული ატესტატის აღების შესაძლებლობა

• • ბრიტანული კოლეჯის მომსახურება

• • მრავალწლიანი გამოცდილების მქონე პროფესიონალი პედაგოგიური კოლექტივი

• • მაღალი ხარისხის სწავლება ყველა საგანში

• • განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ამღზრდელობით პროცესს (დასავლური: ჰუმანური და ლიბერალური ღირებულებების დამკვიდრებას)

• • სასწავლო ლაბორატორიები (ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის, ინფორმაციული ტექნოლოგიების)

• • სპორტული ინფრასტრუქტურა (მრავალფუნქციური სპორტული დარბაზი, გასახდელები, ღია ფეხბურთის მოედანი, ჩოგბურთის კორტი)

• • სასწავლო კომპიუტერული ტექნიკის დიდი რაოდენობა

• • კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორიები (ყველა აუდიტორია აღჭურვილია კომპიუტერით მასწავლებლისთვის, პროექტორით, ინტერნეტით)

• • გამოცდილი მენეჯმენტი აღჭურვილი კომპიუტერული ტექნიკით და საინფორმაციო სისტემით

• • ხელსაყრელი ტერიტორიული მდებარეობა

• • მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის სერვისი

• • კურიკულუმს გარე შეთავაზებები (მუსიკალური აკადემია, სპორტული სკოლა, რობოტიკის და ელექტრონიკის, ინჟინერიის სასწავლო პროგრამა)

• • სასწავლო წრეები (კითხვის კლუბი, კინოკლუბი, თიხის სახელოსნო, შემოქმედებითი წერის სახელოსნო, სასცენო ხელოვნების კლუბი, ცეკვის კლუბი, სიმღერის წრე, ჭადრაკის წრე, უცხო ენის წრე)

• • ინგლისურევანი პროფესიონალი პედაგოგები

• • სასკოლო ბიბლიოთეკა

• • გამოცდილი მენეჯმენტი

• • კარგი რეპუტაცია

- • საქართველოს უნივერსიტეტი როგორც საიმედო დამხმარე და პარტნიორი

**სუსტი მხარეები:**

- • საცურაო აუზის არ ქონა
- • სკოლის არსებული შენობა ზღუდავს სამომავლო გაფართოების შესაძლებლობებს
- • სკოლას აქვს შეზღუდული გამწვანებული ზონა.
- • სკოლის მიმდებარედ არსებული ბარაკული დასახლება
- • ტრანსპორტისთვის რთულად მისადგომი ინფრასტრუქტურა
- • პროგრამის აკრედიტაციის არარსებობა

**შესაძლებლობები (Opportunities)**

- • ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობა
- • აუზის მშენებლობა
- • უკეთესი სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა
- • თანამედროვე, ახალი შენობების მშენებლობა, უნივერსიტეტის შენობების გამოყენება იჯარით.
- • თბილისის სხვადასხვა უბნებში და ქვეყნის რეგიონებში ფილიალების ქსელის შექმნა
- • საერთაშორისო მეტი კავშირების დამყარება
- • პროგრამული უპირატესობის მოპოვება

**საფრთხეები (Threats)**

- • საკანონმდებლო რეგულაციების შესაძლო ცვლილება, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს სკოლის განვითარებაზე

• ბაზარზე ისეთი მდიდარი მოთამაშეების შემოსვლა, როგორებიც არიან საქართველოს ბანკი (ჰოლდინგი), რომელმაც უკვე შეიძინა რამდენიმე კერძო სკოლა და დიდი ინვესტიციების ჩადებით შესაძლოა ბაზრის მონოპოლიზაცია მოახდინოს.

b. PEST - ანალიზი

**ეკონომიკური ფაქტორები**

სკოლის კლიენტის გადახდისუნარიანობა მთლიანად დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობასთან. ინფილაციის სწრაფმა ტემპმა გამოიწვია ხელფასების რადიკალურად გაზრდის აუცილებლობა. სკოლას უჭირს ფასის ზრდით დააბალანსოს ის მომატებული ხარჯი, რაც ქვეყანაში ეკონომიკური სტაგნაციით და ეროვნული ვალურის გაუფასურებით არის გამოწვეული.

**სოციალური ფაქტორები**

ქვეყანაში ბოლო პერიოდში ძალიან გაზრდილია საზღვარგარეთიდან მოსწავლეების (ოჯახების) შემოდინება. უახლოესმა მოვლენებმა მსოფლიოში, მკვეთრად გაზარდა თბილისში და ბათუმში ინგლისურენოვანი საერთაშორისო სკოლის მაძიებელი მოსწავლეების რაოდენობა. რაც ღავის მხრივ სკოლისთვის აჩენს მეტი მოსწავლის მიღწების შესაძლებლობას.

**ტექნოლოგიური ფაქტორები**
პანდემიის ფონზე უფრო გამოჩნდა, რამდენად მნიშვნელოვანია სკოლაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით პროგრამირების, რობოტექნიკისა თუ სხვა ტექნოლოგიური პროგრამების სწავლების გააქტიურება. საქართველოში არარსებული კომპეტენტური კადრების კვალობაზე, მნიშვნელოვანია სკოლის მაქსიმალურად აღჭურვა საჭირო ტექნიკითა და კადრების მუდმივი დატრენინგება. ასევე სამუშაო ჯგუფების შედგენა, რომლების დაწერენ სასკოლო პროგრამებს. ამ მხრივ ჩვენს სკოლას აქვს ტექნოლოგიური უპირატესობანი იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს უნივერსიტეტი ჰყავს, როგორც ძლიერი პარტნიორი. სკოლა პირველი იყო ვინც თბილისში (ევროპული სკოლის პარალელურად) დაიწყო ინტერნეტ პლათფორმის გამოყენებით ონლაინ სწავლება. სკოლა ლიდერია ასევე რობოტექნიკისა და პროგრამირების სკოლაში დანერგვის ხარისხის და ტემპის მიხედვით. ამ მიმართულებით აუცილებელია შემუშავდეს სკოლის პოლიტიკა, რომ სკოლის პროგრამის ტექნოლოგიურ პროფილში დატვირთვა და მისი სწავლების კომპიუტერიზაცია იქცეს სკოლის ერთ-ერთ მთავარ სტრატეგიად.

**პოლიტიკური ფაქტორები**
UG-სკოლა ანხორციელებს ერთ-ერთ ყველაზე უფრო რეგულირებად საქმიანობას ქვეყანაში. გარდა ამისა, სკოლის საქმიანობა იმ რამდენიმე საქმიანობათა შორისაა, რის წარმოებას სახელმწიფოც ეწევა. ბაზარზე კერძო სკოლებთან ერთად ოპერირებენ სახელმწიფო სკოლებიც. შესაბამისად, სკოლა უაღრესად მგრძნობიარეა ნებისმიერი პოლიტიკური ფლუქტუაციების მიმართ. რეგულაციების ცვლილება (სავალდებულო თუ სარეკომენდაციო ნორმები, კონტროლის წესი), პოლიტიკური დაგაწყვეტილებები სკოლების დაფინანსების გაზრდისა, თუ შემცირების შესახებ, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, ტექნიკური აღჭურვის, მასწავლებლების გადამზადების, სახელმწიფო სკოლების პრივატიზაციის დაწყების თუ შეჩერების და ა.შ. შესახებ ცვლის მდგომარეობას ბაზარზე, კონკურენტებს, წარმოქმნის ახალ შესაძლებლობებს, საფრთხეებს და ზოგადად, დიდ გავლენას ახდენს UG-სკოლაზე.

## 4. კონკურენციის ანალიზი
იუჯი სკოლა თავის უმთავრეს კონკურენტებად მოიაზრებს სკოლებს, სადაც სწავლის წლიური საფასური მერყეობს 11000 ლარიდან - 20000 ლარამდე, ქალაქ ბათუმში 4000 ლარიდან 8000 ლარამდე, რაც სკოლისათვის საკმაოდ კონკურენტუნარიან გარემოს ქმნის.

სკოლის უშუალო კონკურენტები არიან: ნიუტონის თავისუფალი სკოლა, ევროპული სკოლა, ბაქსვუდის სკოლა, კავკასიის ფრანგული სკოლა, ახალი სკოლა, ბრიტანული აკადემია, ლოგოსი, მილენიუმის სკოლა, ახალი სკოლა, ბათუმში- სკოლა ევრო 2000, სკოლა-ლიცეუმი მასტერკლასი, ბათუმის ქართულ ამერიკული სკოლა, ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესი ბათუმში

**კონკურენტების ძლიერი მხარეები:**

1. ქალაქგარეთ გაშლილი ინფრასტრუქტურა

იუჯი სკოლასთან შედარებით მისი კონკურენტების ნაწილი გამოიჩევიან უფრო გაშლილი ინფრასტრუქტურით. ნაწილი ამ სკოლებისა ქალაქგარეთ მდებარეობს და მათ აქვთ ინფრასტრუქტურის უფრო ფართოდ გაშლისა და განვითარების მეტი საშუალება(ახალი სკოლა, მილენიუმის სკოლა, ბაქსვუდის სკოლა, ბრიტანული აკადემია, ქალაქგარეთ გადადის ევროპული სკოლა და ლოგოსი).

2. წლების გამოცდილება და განთქმული სახელი

იუჯი სკოლასთან შედარებით მისი კონკურენტების ნაწილი ბევრად დიდი ხანია რაც მოღვაწეობს, საერთაშორისო პროგრამებიც წლებით ადრე აქვს დანერგილი და უკვე გავლილი აქვთ პროგრამული აკრედიტაციაც კი. მაგალითად ევროპული სკოლა და ბრიტენული აკადემია ათწლეულით უსწრებენ UG-ის და ჩვენი სკოლის მხოლოდ განვითარების ძალიან სწრაფმა ტემპმა შესაძლებელი გახადა მათთან კონკურენტუნარიანობის შესაძლებლობა.

3. საერთაშორისო კავშირები

იქიდან გამომდინარე, რომ საერთაშორისო სკოლებს შორის რამდენიმე სკოლა მეტი ხანია არსებობს, მათი კავშირები საელჩოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მეტია. ეს აძლევს მათ დიდ პრივილეგიას საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვის თვალსაზრისით. ჩვენი სკოლის მიზანია რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციის წევრობა რაც მომავალ წლებში უნდა მოხერხდეს. მაგალითად „COBIS” (Council of British International Schools)

4. სკოლები დიდი ბიუჯეტით

ბოლო წლებია კერძო სკოლების ბაზარზე ძალიან ძლიერი მოთამაშე შემოვიდა. საქართველოს ბანკი (ჰოლდინგი) და სამშენებლო კომპანია ანაგი ბათუმში, რომელმაც შეიძინა რამდენიმე კერძო სკოლა და აგრძელებს მათ შეძენას და ინვესტირებას. შეძენილ სკოლებს როგორიცაა ბრიტანული აკადემია, ბაქსვუდი, მწვანე სკოლა, სკოლა ფესვები და

სხვა.. ეძლევათ უზარმაზარი ფინანსები და არსებული ინვესტიციით დიდი ინფრასტრუქტურული ცვლილებების განხორციელების პერსპექტივები. ამგვარ დიდი ფინანსებით მონოპოლიზებულ ბაზარზე შესაძლოა გაუჭირდეს ისეთ დამოუკიდებელ მოთამაშეს როგორიც UG სკოლაა.

იუჯი სკოლა კონკურენტულ გარემოსთან გამკლავებას ზემოთ ჩამოთვლილ ყველა მიმართულებით ცდილობს.

1. საქართველოს უნივერსიტეტის დახმარებით სკოლაში ჩაიდება ინვესტიცია, რაც საგრძნობლად გააუმჯობესებს სკოლის ინფრასტრუქტურას. შესაძლოა სკოლის ადგილმდებარეობის ცვლილებაც.
2. სასკოლო გამოცდილებას სკოლა ძალიან სწრაფი ტემპით იძენს და ახალგაზრდა გუნდის მეშვეობით მუდმივად ვითარდება. თუკი ტემპი არ შენელდება სკოლა უკვე რამდენიმე წელიწადში სრულიად გამართული საერთაშორისო სუბიექტი იქნება მსოფლიო ასპარეზზე.
3. როგორც უკვე ვახსენე სკოლა მაქსიმუმ ერთ წელიწადში გეგმავს “COBIS”-ის წევრი გახდეს რაც პირველი ნაბიჯი იქნება საერთაშორისო კავშირების მოპოვების გზაზე.
4. საქართველოს ბანკის შემოთავაზებას რომ ჩვენი სკოლაც გაიყიდოს, სკოლა ჯერჯერობით უარით პასუხობს. არაპროგნოზირებადია მსგავსი ძლიერი მოთამაშის შემდგომი სვლები თუმცა ფაქტია, რომ ისინი აგრძელებენ წარმატებული კერძო სკოლების შეძენას. ამ მხრიც სკოლა ფხიზლად არის და თვალს ადევნებს ბაზარზე წარმოქმნილ ცვლილებებს.

## 5. 2022-2023 წლის სტრატეგიული გეგმის განხორციელების ხარისხი, შედეგების ანალიზი

სკოლას არ გაუჭირდა წინა წლის გეგმის შესრულება:

1) სკოლაში დარეგისტრირდა წინასასკოლო მომზადების ჯგუფები. პედაგოგები გადამზადდა ადგილზე და ახალი კადრებიც შესაბამისად ისე დაკომპლექტდა, რომ გათვალისწინებული იქნა პრესკულის ინტერესები. სასწავლო პროცესმა აჩვენა, რომ „პრესკულის“ პედაგოგები უნდა გადმოყოლოდნენ მოსწავლეებს პირველ კლასში დამრიგებლებად, რამაც კარგ ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი. სკოლა იგივეს გააკეთებს 2024 წლის სექტემბრის მიღებასთანაც.

2) ბრიტანულ ორგანიზაცია კობისში გაწევრიანებაზე წელს ვერ მოხდა მუშაობის დაწყება. ამის მიზეზი არის სკოლის თანამშრომლების გადატვირთული განრიგი და ახალი გამოწვევები რაც სამინისტროს მიერ შეცვლილმა მოთხოვნებმა გამოიწვია. მოხდა მოლაპარაკება კობისის წარმომადგენლებთან, რომ დაგვეხმარებიან დოკუმენტაციის მოწესრიგებაში. გაწევრიანებაზე მუშაობა უნდა დაიწყოს 2024 წლიდან.

3)დამრიგებლები დატრენინგდნენ წარმატებით. გარკვეული სირთულე გამოიკვეთა საბავშვო ბაღის პედაგოგების სკოლის დამრიგებლებად დატრენინგების პროცესში. სისტემური განსხვავება რთული დასაძლევი აღმოჩნდა კონკრეტულ თანამშრომლებთან. მომავალში ამაზე სამუშაოა და სკოლის მეთოდოლოგია და სისტემური მოწყობა გასაზიარებელია პედაგოგებთან „პრესკულის დონეზევე“ რომ სასკოლო ცხოვრებასთან ამ პედაგოგების მეტი ინტეგრირება მოხდეს საწყისშივე.

4) დაიწყო ახალი პროგრამის შექმნაზე მუშაობა ისტორია, ხელოვნების ისტორიასა და მუსიკის ისტორიაში. ასევე დაემატა მას ლიერატუტული ნაწილიც. სახელმძღვანელოს წერას სათავეში ჩუსდგა პროფესორი მანანა სანაძე. ამ მომენტისათვის შეთანხმებულია კონცეფცია. გაწერილია მასწავლებლის წიგნის ნაწილი და მე- 7 კლასებისათვის გარკვეული საკითხავი მასალა. გეგმის მიხედვით, 2023 წლის ბოლოს უნდა დასრულდეს მე-7 კლასის მოსწავლეთა საკითხავი და მასწავლებლის მასალებზე მუშაობა.

5) 6) სკოლა ცდილობს ჩამოაყალიბოს გარკვეული ტრადიციები ზამთრის და ზაფხულის ბანაკებთან მიმართებით. თავად სკოლა ვერ ახერხებს ორგანიზება გაუკეთოს საზაფხულო ბანაკს საქართველოში. საბანაკე შენობების მშენებლობა „ალგეთის“ მახლობლად ჯერ კიდევ მიმდინარეობს და არ დასრულებულა. შესაბამისად, სკოლა ელოდება საკუთარი ინფრასტრუქტურის გამოყენების შესაძლებლობას, რათა დააორგანიზოს ბანაკები. ამ მომენტისათვის სკოლამ ძალისხმევა გადაიტანა საზღვარგარეთის ბანაკების შეთავაზებაზე. წელს მოსწავლეებს შეეთავაზათ ბრიტანეთში საზაფხულო სკოლის გავლა. შეთავაზების შედეგად მოხდა ორი ჯგუფის რეგისტრაცია. ამ მხრიც სკოლას დაგეგმილი აქვს გააფართოვოს ქვეყნების არეალი. შეთავაზებაში შემოვიტანთ საზაფხულო ბანაკს შეერთებულ შტატებში და ევროპის ქვეყნებში 2023-2024 წლისათვის. ზამთრის ბანაკის მიმართულებით სამწუხაროდ არ

მოხდა მუშაობა. ამ მხრიც არ არის გამოყოფილი მენეჯერი, კადრი, რომელიც იზრუნებს ამ საკითხზე. რახან სკოლა ელოდება უნივერსიტეტის მიერ საბანაკე ფართების მშენებლობას, შესაბამისად ,მსგავსი  კადრის გამოყოფა არც შემდეგ წელს იქნება რეკომენდირებული. საქართველოს ფარგლებში სკოლა შეარჩევს კარგ სათხილამურო სკოლას და კარგ საზაფხულო სკოლას, რომელსაც რეკომენდაციას გაუწევს. ამ ომენტისათვის სკოლამ შეარჩია სათხილამურო სკოლა „სკიდეპო“ და ზაფხულის რობოტექნიკის სკოლის (ლიმენსის აკადემიის)
7) სკოლამ დაიწყო „სტემის“ პროგრამაზე მუშაობა. პროგრამა თემატურის სახით გაიწერა და თემები სრუალად ჩაიშალა კვირეების მიხედვით, თუმცა მეთოდოლოგიასთან და სწავლების ტექნიკასთან ასევე პროგრამულ ნაწილშიც გამოიხატა გარკვეული კონცეპტუალური სხვაობა სკოლის ხედვასა და რობოტექნიკის სკოლა „ლიმენსის“ხედვას შორის. სკოლა გეგმავს შეწყვიტოს „ლიმენსთან“ საქმიანი ურთიერთობა და მოიწვიოს შიდა კადრი - რობოტექნიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, რომელიც თავის თავზე აიღებს პროგრამის მომავალ განვითარებას.
ისტის პროგრამა დამუშაობდა და ასევე გაიწერა კვირეების მიხედვით. ასევე მოხდა მასში თანამედროვე ბლოკების ჩაშენება, რაც საგნის პროგრამირების ელემენტებით მეტად დატვირთვას გულისხმობს.
8) სკოლამ აიყვანა ახალი კადრი, რომელიც აკონტროლებს სკოლისკენ შემომავალ გზას და ასევე ეხმარება მანქანებს მანევრირებაში უშუალოდ სკოლის პარკირების ტერიტორიაზე.
9)სკოლამ წარმატებით შეიძინა ყველა საჭირო მატერიალური რესურსი. განსაკუთრებით მაშტაბური და ძვირიანი შენაძენი იყო რკინის კარადების შეძენა. ამ ტიპის კარადები სკოლას შეძენილი ჰქონდა დაწყებითი კლასებისათვის. ახლა შეძენა მოხდა მე-5,6,7 კლასებისათის. მაღალი კლასებისათვის შესაძლოა სკოლამ გამოყოს დამატებითი თანხა სამომავლოდ.
10) პედაგოების პროფესიული განვითარების მიმართულებით სკოლამ საკმაოდ მნიშვნელოვანი ფინანსები გაიღო. მოხდა პედაგოგების დატრენინგება როგორც ქართული ეროვნული სასწავლო გეგმის განხორციელების ნაწილში, ისე კემბრიჯის პროგრამული ერთეულების სწავლების მიმართულებითაც. კემბრიჯის ტრენინგი ჩაუტარდა პედაგოგებს როგორც ბუნებისმეტყველების, ისე მათემატიკის ინგლისურისა და „გლობალ ფერსფექტივის“ საგანთან მიმართებით. პედაგოგებთან ასევე მოხდა ისეთი ტრენინგების ჩანიშვნა, რომელიც მათ გაუფართოვებდა ხედვას ინკლუზიური განათლების, დიფერენცირებული სწავლების, ახალი საგანამანათლებლო სისტემების და მათი განმასხვავებელი ნიშნების ამოცნობის მიმართულებით. მოხდა სპეც-მასწავლებეების დატრენინგებაც.
11) სკოლამ შეაჩერა სკოლის შენობის წინ სათბურის მშენებლობა დროებით. წლის განმავლობაში გაუთვალისწინებელმა ხარჯებმა იძულებული გაგვხადა სათბურისათვის გათვლილი დაახლოებით 40 000 ლარის ოდენობით თანხა სხვა მიზნებისათვის გამოგვეყენებინა. შესაძლოა ამ თანხის გამოყოფა შემდეგი წლისათვის გახდეს შესაძლებელი. სათბურის პირველად პროექტი გაკეთდა, თუმცა მერიასთან მისი შეთანხმება აღარ მოხდა, რადგან ნათელი გახდა, რომ თანხების გამოყოფა ვეღარ მოხდებოდა. ასევე, არსებობს

დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ მერია ამ პროექტსაც უარყოფს, რამდენადაც ბოლო ათ წელზე მეტია, სკოლის და უნივერსიტეტის მხრიდან თბილისის მერიას არცერთი პროექტი არ დაუმტკიცებია.
12)სკოლამ შეცვალა ხედვა იმისა, თუ როგორ უნდა განავითაროს თავისი შედა სასკოლო ბაზები. ჯერჯერობით ბევრად მნიშვნელოვანი გახდა მოწესრიგებულიყო ბაზები რომელსაც გამოიყენებს სკოლის ადმინისტრაცია. სკოლასმ აიყვანა სამსახურში ახალი კადრი, რომელიც შეუდგება სკოლის ადმინისტრაციის ყველა წარმომადგენლისათვის ინდივიდუალური ელექტრონული სამუშაო გვერდის შექმნას. გარკვეულწილად ეს საქმე 2022-2023 წელს უკვე შესრულდა. დიდი ალბათობით ადმინისტრაციის გვერდების დაწერის პროცესი გასრულდება 2024 წლის დასაწყისისათვის. მხოლოდ ამის შემდგომ გახდება შესაძლებელი ამ ბაზის გამოყენებით, მშობლებთან საკომუნიკაციო გვერდების შექმნა და საცდელი კლასების მასზე მიბმაც.

## 6. 2023-2024 სასწავლო წლის ამოცანები:

2023-2024 სასწავლო წელს იგეგმება შემდეგი ღონისძიებები:

1. ჩოგბურთის კორტისათვის კედლის აშენება და მეტი უსაფრთხოებისათვის მოედნის სხვა კედლების დარბილება (იგულისხმება განსაკუთრებით ფეხბურთის მოედნები)

2. სკოლის შიდა და გარე ელექტრო სისტემის თანამედროვე სტანდარტებით გამართვა სკოლის მეტი უსაფრთხოებისათვის.

3. სკოლაში ახალი კადრის უსაფრთხოების ოფიცერის აყვანა, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში მეტი უსაფრთხოების დაცვას (როგორც ინფრასტრუქტურულად ისე

4. „ალგეთის“ საზაფხულო ბანაკის პირველად გახსნა

5. ბრიტანული საზაფხულო ბანაკის პოპულარიზაცია სკოლაში, ასევე ახალი ბანაკების და საზღვარგარეთის ტურების შეთავაზება მოსწავლეებისათვის შეერთებულ შტატებში, თუ ევროპის ქვეყნებში.

6. ინტეგრირებულ ახალი სასკოლო პროგრამის აკრედიტაციაზე მუშაობის დაწყება.

7. ახალი სკოლის შენობის კონცეფციის მოფიქრება (რომელიც იჯარით სკოლას უნდა გადმოეცეს 2024 წლიდან.

8. ბიბლიოთეკის ფონდის განახლება

9. ახალი სატრანსპორტო საშუალებების შეძენა მინიმუმ სამი საბავშვო ავტობუსით სკოლის ავტოპარკის განახლება.

10. სხვა საჭირო ინვენტარის შეძენა-განახლება (რკინის კარადები მე-8,9,10 კლასებისათვის)

11. სკოლის პედაგოგებისა და ადმინისტრაციის პროფესიული განვითარება და განვითარების მექანიზმების დახვეწა.

12. ელექტრონული შიდა ბაზის განვითარება (ადმინისტრაციისათვის საჭირო გვერდების შექმნა და შიდა ბაზის სრულფასოვნად გამართვა)

13. ახალი დამრიგებლების დატრეინინგება და შემდეგი სასწავლო წლისათვის მათი მომზადება

14. პროგრამირებისა და რობოტექნიკის პროგრამებზე მუშაობის გაგრძელება, ლიმენსის აკადემიის შიდა რესურსით ჩანაცვლება და „სტემის“ ლაბორატორიის შექმნა

## 7. 2023-2024 სასწავლო წელს სამოქმდო გეგმა

| ამოცანები | განსახორციელებელი ღონისძიებები | ვადები | პასუხისმგებელი პირები | მიღწეული შედეგის განმსაზღვრელი ფაქტორები |
|---|---|---|---|---|
| ჩოგბურთის კორტისათვის კედლის აშენება და მეტი უსაფრთხოებისათვის მოედნის სხვა კედლების დარბილება (იგულისხმება განსაკუთრებით ფეხბურთის მოედნები) | 1. ხელშეკრულების გაფორმება კომპანიასთან, რომელიც სპეციალიზებულია სპორტული მოედნების მშენებლობასთან<br>2.პროცესის გაკონტროლება,შედეგის შემოწმება | 2023-2024 სასწავლო წლები | სამეურვეო სამსახურის უფროსი, | სკოლაში წარმატებით აშენდა ჩოგბურთის მოედნისათვის საჭირო კედელი და მეტი უსაფრთხოებისათვის დარბილდა სპორტული მოედნების გარშემო არსებული ღობეები და კედლები. |
| სკოლის შიდა და გარე ელექტრო სისტემის თანამედროვე სტანდარტებით გამართვა სკოლის მეტი უსაფრთხოებისათვის. | 1. დაქირავებულ იქნას სპეციალისტი ელექტრიკოსი<br><br>2) მოხდეს არსებული მდგომარეობის (ელექტროგაყვანილობა) დიაგნოსტირება და სამომავლო ჩასატარებელი საქმეების დაგეგმვა<br>3) დაიდოს ხელშეკრულება რომელშიც გაიწერება ყველა შესასრულებელი საქმე | 2023-2024 სასწავლო წლები | სამეურვეო სამსახურის უფროსი, | 1. სკოლა გახდა „COBIS”-ის წევრი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 4) გაკონტროლდეს შედეგები | | | |
| სკოლაში ახალი კადრის უსაფრთხოების ოფიცერის აყვანა, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში მეტი უსაფრთხოების დაცვას | 1) ვაკანსიის დადება<br>2) საუკეთესო კანდიდატურის შერჩევა<br>3) ხელშეკრულების გაფორმება<br>4) შესაბამისი საჭირო ტრენინგების არჩეული კანდიდატისათვის შეთავაზება, | 2023-2024 სასწავლო წლები | იურიდიული სამსახურისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი. | სკოლაში მუშაობს უსაფრთხოების ოფიცერი, რომელიც არის კვალიფიციური იურიდიული განათლებისა და საგამოძიებო მიმართულებით მუშაობის გამოცდილებით და გავლილი აქვს სკოლის |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| „ალგეთის“ საზაფხულო ბანაკის პირველად გახსნა | 1) დაიგეგმოს პირველი ბანაკი ალგეთში, ჩამოიწეროს პიროები და შედგეს ბიუჯეტი<br>2) შეთავაზება გაეგზავნოთ მშობლებს და შედგეს მსურველთა ჯგუფები<br>3) შეირჩეს შესაბამისი კადრები და გეგმისა და ბიუჯეტის მიხედვით მიეცეთ შესაბამის ჯგუფებს გაწერილი მომსახურება ალგეთის საზაფხულო ბანაკში | 2023-2024 სასწავლო წლები | სკოლის ადმინისტრაციის უფროსი, | სკოლის პირველი საზაფხულო ბანაკი სოფელ ალგეთთან წარმატებით გაიხსნა. ბავშვების ჯგუფები ჩავიდნენ დასასვენებლად სკოლის ბანაკში, სადაც მათ შეეთავაზათ წინასწარ შეთანხმებული სერვისი. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბრიტანული საზაფხულო ბანაკის პოპულარიზაცია სკოლაში, ასევე ახალი ბანაკების და საზღვარგარეთის ტურების შეთავაზება მოსწავლეებისათვის შეერთებულ შტატებში, თუ ევროპის სხვა ქვეყნებში. | 1) გაირკვეს და შეთანხმდეს პირობები შეერთებული შტატების საზაფხულო სკოლებთან. ასევე ევროპის სხვა ქვეყნებთან.<br>2) შეთანხმებული პირობები მალევე დაეგზავნოს მშობლებს (სასურველია პირველივე სემესტრში)<br>3) გაფორმდეს მშობლებთან ხელშეკრულებები და ბავშვები გაიგზავნონ ბანაკებში. დაიდოს წარმატებული ტურების შესახებ ინფორმაცია სოციალურ ქსელებში. | 2023-2024 სასწავლო წლები | კემბრიჯის პროგრამის მენეჯერი | სკოლამ გამოაცხადა სხვადასხვა შეთავაზებები საზღვარგარეთ ბანაკებისა და ტურების შესახებ. დარეგისტრირებულმა მოსწავლეებმა წარმატებით მიიღეს შესაბამისი მომსახურება. |
| ინტეგრირებულ ახალ სასკოლო პროგრამის აკრედიტაციაზე მუშაობის დაწყება | 1. სასკოლო გუნდის შეკრება და დავალებებეის განაწილება<br>2. პროცესის მონიტორინგი და სამინისტროსთან კონსულტაცია | 2023-2024 სასწავლო წლები | სკოლის ადმინისტრაციის უფროსი, | სკოლას აქვს თავისი აკრედიტირებული ბრიტანულ-ქართული შერწყმული პროგრამა |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 3. პროგრამის შეტანა და ხარვეზების გამოსწორება | | | |
| ახალი სკოლის შენობის კონცეფციის მოფიქრება (რომელიც იჯარით სკოლას უნდა გადმოეცეს 2024 წლიდან. | 1. იჯარით ასაღები შენობის არქიტექტუტული ნახაზების მოპოვება და დამუშავება<br>2. სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც ნახაზების მიხედვით მინიმალური გადაკეთების ხარჯზე დაგეგმავს სკოლის მომავალ დიზაინს, კონცეფციას და სასწავლო თუ სამუშაო სივრცეების განაწილებას | 2023-2024 სასწავლო წლები | სკოლის ადმინისტრაციის უფროსი | სკოლას გააჩნია წინასწარი ხედვა იმისა თუ ინფრასტრუქტურულად როგორ განავითარებს სამომავლოდ იჯარით შემოსაერთებელ სასკოლო შენობას, რომელშიც მოთავსდებიან მე-3,4,5,6 კლასელები. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბიბლიოთეკის ფონდის განახლება | 1. კათედრის ხელმძღვანელები განახლებულ სიას მიაწვდიან სკოლის ბიბილიოთეკარს<br>2. ბიბლიოთეკარი შეიძენს სიით მიწოდებულ ყველა საჭირო წიგნს | 2023-2024 სასწავლო წლები | ბიბლიოთეკის გამგე | სკოლის ბიბლიოთეკა განახლებულია ყველა საჭირო წიგნით. |
| ახალი სატრანსპორტო საშუალებების შეძენა მინიმუმ სამი საბავშვო ავტობუსით სკოლის ავტოპარკის განახლება. | 1. ავტობუსის ბრენდის შერჩევა და შესაბამის ფირმასთან ავტობუსების ჩამოყვანის პიროვევის შეთანხმება<br>2. ახალი ავტობუსების საგარანტიო პირობების შეთანხმება<br>3. ხელშეკრულების გაფორმება და მინიმუმ სამი ავტობუსის შესაძენად თანხის გადახდა. | 2023-2024 სასწავლო წლები | ტრანპორტირე ბის სამსახურის უფროსი | 1. სკოლის მოსწავლეებს ემსახურება მინიმუმ სამი ახალი საბავშვო აბტობუსი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სკოლისათვის ახალი რკინის კარადების შეძენა | 1. ხელშეკრულების გაფორმება შესაბამის ფირმასთან<br>2. თანხის გადარიცხვა | 2023-2024 სასწავლო წლები | სამეურნეო სამსახურეის უფროსი | სკოლამ შეიძინა რკინის კარადები |
| სკოლის პედაგოგებისა და ადმინისტრაციის პროფესიული განვითარება და განვითარების მექანიზმების დახვეწა | 1. სისტემატიური ტრენინგების გაგრძელება პედაგოგებთან და ადმინისტრაციასთან<br>2. ტრენინგების სისტემის შემუშავება, რომელიც შესაძლებელს გახდის შედგეს პროგესიული განვითარების სქემა სკოლის თითოეულ თანამშრომელზე | 2023-2024 სასწავლო წლები | ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე სწავლების ხარისხის მართვის მიმართულებით | სკოლის ყველა თანამშრომელი ესწრება მისი პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ყველა ტრენინგს. ასევე ყველა თანამშრომელი ჩართულია პროფესიული განვითარების სკოლის მიერ შედგენილ სქემაში. |
| ელექტრონული შიდა ბაზის განვითარება (ადმინისტრაციისათვის საჭირო გვერდების შექმნა და შიდა ბაზის სრულფასოვნად გამართვა) | 1) ახალი თანამშრომლის აყვანა რომელიც იმუშავენს სკოლის შიდა ბაზაზე და გამართავს ყველა ადმინისტრაციის წევრისათვის დამხმარე ელექტრონულ გვერდს<br>2) ახალ თანამშრომელთან ერთად საქმის დაგეგმვა | 2023-2024 სასწავლო წლები | ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სამსახურის თანამშრომელი | სკოლას ემსახურება ახალი პროფესიონალი პროგრამისტი, რომელმაც სკოლის ადმინისტრაციას აუწყო ყველა აუცილებელი ელექტრონული გვერდი. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | და გვერდების შექმნის პროცესის კონტროლი | | | |
| ახალი დამრიგებლების დატრეინინგება და შემდეგი სასწავლო წლისათვის მათი მომზადება | 1) ფსიქოლოგი და მენეჯერები შეხვდებიან მომავალ დამრიგებლებს<br>2) პრეზენტაციები და შესასწავლი მასალა დამრიგებლებს დაეგზავნებათ ელექტრონულად | 2023 – 2024 სასწავლო წლები | ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე სწავლების მიმართულებით, ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე სწავლების ხარისხის მართვის მიმართულებით | სკოლის ყველა მომავალი დამრიგებელი გადამზადებულია და მზადაა ჩაერთოს სასკოლო ცხოვრებაში |
| პროგრამირებისა და რობოტექნიკის პროგრამებზე მუშაობის გაგრძელება, ლიმენსის აკადემიის შიდა რესურსით ჩანაცვლება და „სტემის“ ლაბორატორიის შექმნა | 1) გაფორმდება ხელშეკრულება პროფესიონალთან, რომელიც დაეხმარება სკოლას „სტემის“ პროგრამულ დახვეწაში და შექმნის „სტემის ლაბორატორიას სკოლაში<br>2) სკოლა შეიძენს რობოტექნიკა-პროგრამირებისათვის საჭირო ინვენტარს<br>3) სკოლა განაახლებს რობოტექნიკა- | 2023 - 2024 სასწავლო წლები | ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე სწავლების ხარისხის მართვის მიმართულებით<br>სკოლის ადმინისტრაციის უფროსი | სკოლა წარმატებით ჩაანაცვლებს ლიმენსის აკადემიის შემოთავაზებულ სერვისს, შექმნის „სტემის“ წარმატებულ ლაბორატორიას და შეიძენს ყველა საჭირო ინვენტარს. სტემის პროგრამა წარმატებით განხორციელდება სკოლაში |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | პროგრამირების სილაბუსს | | | |
| | | | | |

## 2023-2024 სასწავლო წელს სამოქმედო გეგმა - ბათუმი:

| ამოცანები | განსახორციელებელი ღონისძიებები | ვადები | პასუხის-მგებელი პირები | მიღწეული შედეგის განმსა-ზღვრელი ფაქტორები |
|---|---|---|---|---|
| „ალგეთის“ საზაფხულო ბანაკის პირველად გახსნა | დაიგეგმოს პირველი ბანაკი ალგეთში, ჩამოიწეროს პიროები და შედგეს ბიუჯეტი<br>5) შეთავაზება გაეგზავნოთ მშობლებს და შედგეს მსურველთა ჯგუფები<br>6) შეირჩეს შესაბამისი კადრები და გეგმისა და ბიუჯეტის მიხედვით მიეცეთ შესაბამის ჯგუფებს გაწერილი მომსახურება ალგეთის საზაფხულო ბანაკში | 2023-2024 სასწავლო წლები | UG სკოლის ადმინისტრაციის უფროსი | სკოლის პირველი საზაფხულო ბანაკი სოფელ ალგეთთან წარმატებით გაიხსნა. ბავშვების ჯგუფები ჩავიდნენ დასასვენებლად სკოლის ბანაკში, სადაც მათ შეეთავაზათ წინასწარ შეთანხმებული სერვისი. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბრიტანული საზაფხულო ბანაკის პოპულარიზაცია სკოლაში, ასევე ახალი ბანაკების და საზღვარგარეთის ტურების შეთავაზება მოსწავლეებისათვის შეერთებულ შტატებში, თუ ევროპის სხვა ქვეყნებში. | 4) გაირკვეს და შეთანხმდეს პირობები შეერთებული შტატების საზაფხულო სკოლებთან. ასევე ევროპის სხვა ქვეყნებთან.<br>5) შეთანხმებული პირობები მალევე დაეგზავნოს მშობლებს (სასურველია პირველივე სემესტრში)<br>6) გაფორმდეს მშობლებთან ხელშეკრულებები და ბავშვები გაიგზავნონ ბანაკებში. დაიდოს წარმატებული ტურების შესახებ ინფორმაცია სოციალურ ქსელებში | 2023-2024 სასწავლო წლები | ხარისხის მართვის კონსულტანტი | სკოლამ გამოაცხადა სხვადასხვა შეთავაზებები საზღვარგარეთ ბანაკებისა და ტურების შესახებ. დარეგისტრირებულმა მოსწავლეებმა წარმატებით მიიღეს შესაბამისი მომსახურება. |
| ინტეგრირებულ ახალ სასკოლო ბრიტანულ-ქართული შერწყმული პროგრამის დანერგვა ბათუმში | 4. სასკოლო გუნდის შეკრება და დავალებებეის განაწილება<br>5. პროცესის მონიტორინგი | 2023-2024 სასწავლო წლები | ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე აკადემიური მიმართულებით | ბათუმის სკოლის პედაგოგების მომზადება |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 6. პროგრამის შეტანა და ხარვეზების გამოსწორება | | | |
| ახალი სკოლის შენობის არქიტექტურულ ნაწილზე მუშაობის დასრულება და მშენებლობის ნებართვის აღება (სკოლამ შეიძინა ახალი ფართი, სადაც იგეგმება ახალი სკოლის მშენებლობა) ბათუმის სკოლის სამზარეულოს ინვენტარის და ტექნიკის შეცვლა | 1.შენობის არქიტექტუტული ნახაზების მოპოვება და დამუშავება | 2023-2024 სასწავლო წლები | ადმინისტრაციის უფროსი | სკოლამ შეიძინა ახალი ფართი, სადაც იგეგმება ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება |
| საკლასო ოთახების კედლის საფარის და ფარდა ჟალუზების განახლება | სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც დაგეგმავს შესაბამის სამუშაოებს,ხელშეკრულების გაფორმება და თანხის გადარიცხვა | 2023-2024 სასწავლო წელი | ადმინისტრაციის უფროსი | შეცვლილია ბათუმის სკოლაში ფარდა ჟალუზები და კედლის საფარი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სკოლისათვის ახალი კარადების შეძენა | 3. ხელშეკრულების გაფორმება შესაბამის ფირმასთან<br>4. თანხის გადარიცხვა | 2023-2024 სასწავლო წლები | ადმინისტრაციის უფროსი | სკოლამ შეიძინა ახალი კარადები |
| ბათუმის სკოლის სამზარეულოს ინვენტარის და ტექნიკის შეცვლა | სამუშაო ჯგუფის შექმნა, საჭირო ინვენტარის და ტექნიკის ჩამოწერა და შეძენა | 2023-2024 სასწავლო წლები | ადმინისტრაციის უფროსი, სკოლის მზარეული | სკოლის სამზარეულო განახლებულია ყველა საჭირო ტექნიკითა და ინვენტარით |
| სკოლის პედაგოგებისა და ადმინისტრაციის პროფესიული განვითარება და განვითარების მექანიზმების დახვეწა | 3. სისტემატიური ტრენინგების გაგრძელება პედაგოგებთან და ადმინისტრაციასთან<br>4. ტრენინგების სისტემის შემუშავება, რომელიც შესაძლებელს გახდის შედგეს პროგესიული განვითარების სქემა სკოლის თითოეულ თანამშრომელზე | 2023-2024 სასწავლო წლები | ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე აკადემიური მიმართულებით | სკოლის ყველა თანამშრომელი ესწრება მისი პროფესიული განვითარებისა თვის საჭირო ყველა ტრენინგს. ასევე ყველა თანამშრომელი ჩართულია პროფესიული განვითარების სკოლის მიერ შედგენილ სქემაში |
| ელექტრონული შიდა ბაზის | | 2023-2024 | ინფორმაციული და | სკოლას ემსახურება |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| განვითარება (ადმინისტრაციის ათვის საჭირო გვერდების შექმნა და შიდა ბაზის სრულფასოვნად გამართვა) | 3) ახალი თანამშრომლის აყვანა რომელიც იმუშავენს სკოლის შიდა ბაზაზე და გამართავს ყველა ადმინისტრაციის წევრისათვის დამხმარე ელექტრონულ გვერდს<br>4) ახალ თანამშრომელთან ერთად საქმის დაგეგმვა და გვერდების შექმნის პროცესის კონტროლი | სასწავლო წლები | საკომუნიკაციო ტექნოლოგიის სამსახურის თანამშრომელი | ახალი პროფესიონალი პროგრამისტი, რომელმაც სკოლის ადმინისტრაციას აუწყო ყველა აუცილებელი ელექტრონული გვერდი. |
| ახალი დამრიგებლების დატრეინინგება და შემდეგი სასწავლო წლისათვის მათი მომზადება | 3) ფსიქოლოგი და მენეჯერები შეხვდებიან მომავალ დამრიგებლებს<br>4) პრეზენტაციები და შესასწავლი მასალა დამრიგებლებს დაეგზავნებათ ელექტრონულად | 2023 – 2024 სასწავლო წლები | ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე აკადემიური მიმართულებით<br>სკოლის ფსიქოლოგი | სკოლის ყველა მომავალი დამრიგებელი გადამზადებულია და მზადაა ჩაერთოს სასკოლო ცხოვრებაში |
| ინფორმატიკის კაბინეტის ინვენტარის და ტექნიკის დამატება/შეძენა | სკოლა შეიძენს ინფორმატიკის კაბინეტისთვის საჭირო ინვენტარს | 2023 - 2024 სასწავლო წლები | ადმინისტრაციის უფროსი | სკოლამ შეიძინა ადმატებით კომპიუტერული ტექნიკა და ინვენტარი |
| | | | | |

**8. სამოქმედო გეგმის გადასინჯვის მეთოდები**

სამოქმედო გეგმაში ცვლილების ინიცირება შეუძლია პედაგოგთა საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობას, მშობელთა კლუბს, სკოლის დირექტორს, ადმინისტრაციის უფროსს, ადმინისტრაციის უფროსის მოადგილეს ხარისხის მართვის მიმართულებით სამოქმედო გეგმაში ცვლილებებს ამტკიცებს პარტნიორთა კრება